

სტუდენტის სამახსოვრო

გილოცავთ საუნივერსიტეტო ცხოვრების დაწყებას! გისურვებთ წინსვლას, ახალ-ახალ მიღწევებს, ნაყოფიერად გამოგეყენებინოთ სტუდენტური წლები, რათა ჩამოყალიბდეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად და გაამართლოთ ქვეყნის, უნივერსიტეტისა და მშობლების იმედები.

- 2018-2019 სასწავლო წლის I სემესტრი იწყება 8 ოქტომბერს და მოიცავს 20 კვირას. აქედან 15 კვირა არის სასწავლო (სააუდიტორიო მეცადინეობები), ერთი კვირა ეთმობა შუასემესტრულ გამოცდას (მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი - 7,5), მე-17 კვირა – პროექტების და ლაბორატორიული სამუშაოების ჩაბარებას და/ან დასკვნითი გამოცდისათვის მზადებას, სამი კვირა – სესიებს (დასკვნითი და დამატებითი გამოცდები. მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური - 10). დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელია სემესტრის განმავლობაში არანაკლებ მინიმალური (მიმდინარე აქტივობის 15, შუასემესტრული გამოცდის 7,5) ქულების დაგროვება. თითოეული სასწავლო კურსი ჩაითვლება ჩაბარებულად არანაკლებ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

გთხოვთ არ გაცდინოთ ლექცია-სემინარები, სრულფასოვნად ჩაერთეთ სასწავლო პროცესში, რათა არ დაკარგოთ მიმდინარე აქტივობის შეფასებები (მაქს. 30, მინ. - 15);

- წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სახელმწიფო სტიპენდია თვეში 150 ლარის ოდენობით;
- დევნილის სტატუსის მქონე სტუდენტებს სწავლის საფასური შეუმცირდებათ 200 ლარით;
- სავალდებულოა ფინანსური ხელშეკრულების დადგენილ ვადაში შესრულება, რათა არ შეგიჩერდეთ სტუდენტის სტატუსი;
- სწავლის პერიოდში გექნებათ საშუალება მიიღოთ მონაწილეობა როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში, ვორქ-შოფებში, რაშიც ფინანსურ მხარდაჭერას გაგიწევთ ფაკულტეტი;
- წარჩინებულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ იმ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რომლებშიც ჩართულია სტუ;
- სწავლების მე-4 წლის სტუდენტებს ექნებათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რომ გაიარონ პრაქტიკა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი;
- სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი შემოგთავაზებთ საინტერესო სტუდენტურ სერვისებს - მათ შორის ექსკურსიებს, უნივერსიტეტში მოქმედ სხვადასხვა წრეებს, როგორც სპორტული, ასევე გასართობი და შემეცნებითი ხასიათის შეჯიბრებებს და ა. შ.;

- ფაკულტეტი იზრუნებს, დაასაქმოს საუკეთესო აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულები;
- უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომლის დაცვაც სავალდებულოა;
- სავალდებულოა ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ახალი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო ყოველი სემესტრის შემდეგ - მიღწეული შედეგების გაცნობა;
- ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება საუკეთესო სტუდენტური პროექტები;
- პერიოდულად ჩატარდება საჯარო ლექციები საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორების მიერ;
- სწავლის პერიოდში თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია.

გისურვებთ წარმატებებს!

ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე

გადასვლის მსურველთა საყურადღებოდ!

2018-2019 სასწავლო წლის I სემესტრში ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის მსურველმა სტუდენტმა განცხადებასთან ერთად შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარადგინოს სათანადო დოკუმენტაცია (იხ. ჩამონათვალი), განცხადების წარმოდგენის ვადაა 2018 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე

გადასვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ან/და ფეხმძიმე – ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №100);
- მცირეწლოვანი ბავშვის დედა – ბავშვის დაბადების მოწმობა;

გ) საქართველოს სახელით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილე – შესაბამისი ფედერაციის/ნაკრების უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა;

დ) სტუ-ს ნაკრების წევრი – სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის შუამდგომლობა;

ე) სტუ-ს შემოქმედებით და სახელოვნებო წრეში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი და ა.შ.) გაერთიანებული სტუდენტი – სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის შუამდგომლობა;

ვ) თბილისში განლაგებულ დაწესებულებაში, როგორც წესი, პროფილით/სპეციალობით და სხვა სტრუქტურაში (მუნიციპალიტეტებში, სამინისტროებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში) დასაქმებული (გარდა სახელმწიფოს მიერ 100%-ით დაფინანსებული პროგრამის სტუდენტისა), სტუ-ს რეკომენდაციით სტაჟირებაზე მყოფი – სამსახურის ცნობა და ბოლო 3 თვის სახელფასო ამონაწერი ბანკიდან;

ზ) სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი – სენატის სპიკერის შუამდგომლობა);

თ) ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი - შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობა.

ი) სხვა კატეგორიის სტუდენტი – შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოტივირებული შუამდგომლობა.

2018/2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ ინფორმაცია
იხილეთ მიმაგრებულ ფაილში